

ზოგი სვანური სალექსიკონო ერთეულისათვის

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში წლების განმავლობაში ზემო სვანეთის სოფლებში (ლენჯერი, ლატალი, მელე) სავსე მუშაობისას ჩაწერილ მრავალმხრივ საყურადღებო დიალექტურ ტექსტებში გამოვლინდა ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც არ გვხვდება გამოქვეყნებულ სვანურ ლექსიკონებში (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, 2000; ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, 1994; ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, 2007).

ნაშრომში წარმოვადგენთ ამგვარ სიტყვათა ნაწილს:

I. ზანგორე // ზანგორე (ბზ.) - 1. ბუზღენი: ეზარ ხანს ხაზგნგორა "კარგა ხანს ებუზღუნებოდა"; ქ'თიყჩ ლიზგნგორეს "შეეშვი ბუზღუნს"; 2. ზურგს უკან აუგის თქმა: ეჩ'შვი ლემზანგორინ "მასზე ამბობდა თურმე აუგს [ზურგს უკან]".

ვ. თოფურია, მ. ქალდანის "სვანური ლექსიკონში" იმავე მნიშვნელობით (ზურგს უკან მძრახველი) გვხვდება სიტყვები: ფურყუნაჲ (ბზ.), ფურყუნაჲ (ლშხ.); ხოლო ა. ლიპარტელიანის "სვანურ-ქართული ლექსიკონის" მიხედვით. "ჩუმაღ ჩივილს" აღნიშნავს სიტყვა - ხოფურყვლაჲვი.

II. ლილგენი — ღამისთევა (შდრ. ლიგნე — დგომა, ლგგ — დგას). მაგ.: მთელ ლეთ ხოლგენდად მექუნაჲწლს "მთელი ღამე ვუთევდით სულთმობრძავს"; ისგლანთუღ ილგენდა ლაწგნდჲს "ღამეს ათევდა ქსოვაში".

ბ. ნიჟარაძის „ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონში“ აღნიშნული სიტყვის სემანტიკური ფარდია: ლილთე — ღამეზა, ლილთი — ღამისთევა; ხოლო ვ. თოფურია, მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ ლილთე ნიშნავს: 1. ღამის თევა; 2. შემოღამება, დაღამება.

III. ლიჩუარე — მიწის ნაკვეთის ჭვა-ღორღისგან გაწმენდა-გასუფთავება (შდრ. ჩუწლ — მეწყერი). მაგ.: სწმი ლადლ აზკუწლ ლაჩუარას "სამი დღე მოუნდა ჭვა-ღორღისგან გაწმენდას"; ქ'აჩუარაჲ იქმა "წმენდა ჭვა-ღორღისგან და იმატებდა".

ა. ლიპარტელიანთან "ქვებისგან გაწმენდის" მნიშვნელობით გვხვდება სიტყვა ლიკცორე (ჩოლურ.).

ჩვენი მასალების მიხედვით, საანალიზო კიცორ//კცორ ფუძე გამოყენებულია სიტყვაში კიცორა — გოდორი (ბზ.). მაგ.: სწმი კიცორა ჭემს ხანშღუნა კუმაშს "სამ გოდორ თივას უყრიდა თურმე საქონელს". შესაძლოა ქვებისგან გაწმენდა გოდორების საშუალებით ხდებოდა და აქედან გამომდინარე შეიქმნა ახალი ლექსიკური ერთეული ზემოაღნიშნული სემანტიკით.

"გოდორის" მნიშვნელობით ვ. თოფურია, მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ გვხვდება სიტყვა ლაშგყ (ბზ.), ლაშყ (ბქ.), ლაშიყ (ლშხ.) — საზურგე (გოდორი); ბალსზემოურსა და ბალსქვემოურ კილოებში "გოდორის" აღსანიშნავად გამოიყენება აგრეთვე მარაგ. შდრ. ჩანტ // ჩეო (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, 2000).

IV. ლიკგლბგნე — 1. გამოჯავრება-დაცინვა: ბოფშარდ ლიკგლბგნე

ობზინებ “ბავშვებმა გამოჯაერება დაუწყეს”. შდრ. ქალიტუზინე, ქალიმჯარტე — გაჯაერება (გამოჯაერება) (ბ. ნიჟარაძე, 2007); 2. სიცივისაგან ნიკაპის, კბილების კაწკაწი: მცხოშ აკვლბუნახ “სიცივისგან [კბილებს] აკაწკაწებდნენ”.

გამოჯაერება-დაცინვის, ენის ტლიკინის აღსანიშნავად გვხვდება აგრეთვე ლილკნე // ლიკვლბუნე ფორმები, რომლებიც გამოცემულ ლექსიკონებში ვერ დავაფიქსირეთ. მაგ.: შუკა მუხალას ხალკუნახ “გზაზე მიმავალთ აჯაერებდნენ თურმე”. შდრ.: ლიხრინე (ბზ., ლნტ.) — გაბრაზება, გაჯაერება (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, 2000).

V. **ლისტინე** — მოქნევა: ანსტინე დაშნა ი თხუმარ ქახტუცურე “მოიქნია დაშნა და თავები მოაჭრა”.

აღნიშნული სემანტიკის გამომხატველი პარალელური ფორმებია: ლიქტინე, ლისპე. შდრ.: აქტინე (ბზ.), აქტინი/ე (ლნტ.) — აქნევს (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, 2000); ლისპე, ლიქთუნე — ქნევა (ბ. ნიჟარაძე, 2007); აქიუუნე — აქანავებს (ა. ლიპარტელიანი, 1994).

VI. **ლუფუნსე** — მობუზული, მოკუნტული (სიცივისაგან, შიშისგან): მცხოშ ეილუფუნსე ლგმარხ “სიცივისგან მობუზული ყოფილან”.

შდრ. ფუსულ (ბზ.), ფგსგლ (ბქ.) — ბურძგლი, ლინდლი, გინგლი; ფუსულარ (ბზ.) — მცივანა „ბურძგლიანი“, ლუფუნსე — გამბდარი მოზუცი (ა. ლიპარტელიანი, 1994)

VII. **ლგტელე** // **ლგდელე** — დაჭრილი (ფრინველი, ნადირი): ლგტელ ლგმარ, შიშდ აშყედელი “დაჭრილი ყოფილა (ფრინველი), მაშინვე ჩამოვარდნილა”. ჩუადკეტლე, მარე ჩოთჩად “დაჭრა (ნადირი), მაგრამ გაექცა”.

VIII. **ლიღუნძაბიელ** — ხვეწნა-მუდარა: ხელუნძაბიელ, მარე დემ ხოჯრატი “ემუდარება, მაგრამ არ უჭერებს”.

აღნიშნული სიტყვა ფონეტიკური სახეცვლილებით დასტურდება ქვემო სვანეთში. დიდხანს, თავშეცოდებით თხოვნის მნიშვნელობით ა. ლიპარტელიანთან გვხვდება ხელგნდაგიელ ფორმა.

IX. **მუტკუიმ** (ბზ.) — 1. მუქი: მუტკუიმ ლერექუ ხაქუ “მუქი ტანსაცმელი აცვია”. 2. მოსაღამოებული, საღამოხანი: ლიმტკუმალს ოხდელდა “მოსაღამოებას ელოდებოდა”.

შდრ. მუვტკვიმ — მოშაო (ა. ლიპარტელიანი, 1994). ჩვენს მასალებში კი აღნიშნული სემანტიკით (მოშაო) გამოიყენება მგმშხა (ბზ.); შდრ. მეშხე — შავი.

X. **სატრლ** — ლითონის პატარა კოლოფი: სატრლისგა იშხტინდა ნესყალს “ლითონის პატარა კოლოფში ინახავდა ნემსებს”.

XI. **ღონა** — ქვის (არა ფიქალისა) ვეებერთელა ლოდი: ლადონაქა ლი ხოლა ლეზი “ქვის ვეებერთელა ლოდების [ადგილას] არის ცუდი გასასვლელი”; ლაბგრჯაფი ღონას ათლაკაჲ ქათყეჩა “[მიწის] თხრისას ქვის ვეებერთელა ლოდს წაწყდომია და შეშვებია”.

XII. **ჭუჭუ** (ბზ.) — 1. ხის საცობი: ჭუჭუს ხაყუფა ბოჭკას “საცობს აძრობდა კასრს”; ჭუჭუ ლატებას ლახად “[კასრის] საცობის თლას შეუდგა”.

მოცემული ლექსიკური ერთეული “მწვერვალის” მნიშვნელობით დაფიქსირებულია ვ. თოფურია, მ. ქალდანის “სვანურ ლექსიკონში”.

XIII. წიწყუ // ლემწიწყუ — საძაგელი, საზარელი: ხაწიწყუდა ეჩი ნასყუტ ლეზუბ “სძაგდა იმის გაკეთებული საქმელი”; ხოლა, წიწყუ მჰრე ლემჰარი “ცუდი, საზარელი კაცი ყოფილა”.

ჩვენ მიერ აღწესხული ლექსიკური ერთეულები საინტერესოა სვანური კილოების ლექსიკის შესწავლის თვალსაზრისით და დამატებით მასალას წარმოადგენს სვანური დიალექტური ლექსიკონისათვის.

ლიტერატურა

ვ. თოფურია, მ ქალდანი, 2000 - ვ. თოფურია, მ ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

ა. ლიპარტელიანი, 1994 - ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართულ ლექსიკონი, თბ., 1994.

ბ. ნიჟარაძე, 2007 - ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონი, თბ., 2007.

სვანური მასალები - აწეს ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფონდში (C — 1993-2004) დაცული სვანური მასალები.

DAVID PIRTHSKHELANI

ON SOME SVAN WORDS NOT REGISTERED IN DICTIONARIES

The paper discusses the words recorded during field interviews carried out for years in the villages of Lenjeri, Latali and Mele, by the Institute of the Georgian dialects, ATSU. These are the lexical units that are not registered in the Svan vernacular dictionaries published to these days. Here I discuss the words *zango:re/zango:re*, *lilgeni*, *kitsora*, *lisuiline*, *tchuku*... these words present an interesting material for the study of the Kartvelian words.